შ.პ.ს. "აუდიტ–გ.მ."

№ 2/19 "14" "ნოემბერი" "2017 წ."

მისამართი: გარდაბნის რ-ნი სოფელი ნორიო ტელეფონი მობ. 599 553392

აუდიტორული დასკვნა
ჩამოსაწერი შენობის დემონტაჟის შედეგებზე

აუდიტორული დასკვნა შედგენილია აუდიტორული ფირმა შპს „აუდიტ-გ.მ." – სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით SARAS-F-149730, აუდიტორ გელა მამუკაშვილის მიერ, რომელიც აუდიტორულ საქმიანობას ეწევა სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით SARAS-A-581034. თანახმად სსიპ მარტყოფის №1 საჯარო სკოლის მომართვისა, მოვახდინე შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი 1973 წელს აშენებული (საკადასტრო კოდი 81.10.10.516) სკოლის ამორტიზებული შენობის 02/1 დემონტაჟის/ლიკვიდაციის შედეგების შეფასება.

ვიხელმძღვანელე რა წარმოდგენილი დოკუმენტებით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის №82, 2010 წლის 13 აგვისტოს №239 და 2014 წლის 4 აპრილის №273 დადგენილებით, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ შედგენილი სადემონტაჟო სამუშაოების პროექტით, შეფასების საერთაშორისო სტანდარტებით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, გამომაქვს შემდეგი

დ ა ს კ ვ ნ ა:

სსიპ მარტყოფის №1 საჯარო სკოლის ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი 1973 წელს აშენებული (საკადასტრო კოდი 81.10.10.516) სკოლის ამორტიზებული ორსართულიანი შენობის 02/1 ზომებით 55X18 მ. დემონტაჟის/ლიკვიდაციისათვის, დანახარჯები შეადგენს – 17800 (ჩვიდმეტიათას რვაასი) ლარს, მათ შორის

1. დროებითი სადემონტაჟო მოედნის და შენობა ნაგებობის მოწყობა დაშლის სამუშაოების ღირებულება – 1400 ლარი.
2. შენობის სახურავის ბურულის და ძირითად კორპუსთან გასასვლელი ორი ხიდის დემონტაჟის სამუშაოების ღირებულება – 2000 ლარი.
3. შენობის II სართულის დემონტაჟის (ვარგისი აგურის ამორჩევით) სამუშაოების ღირებულება – 4600 ლარი.
4. შენობის I სართულის დემონტაჟის (ვარგისი აგურის ამორჩევით) სამუშაოების ღირებულება – 4000 ლარი.
5. შენობის საძირკვლის დემონტაჟის (ვარგისი აგურის ამორჩევით) სამუშაოების ღირებულება – 3000 ლარი.
6. სამშენებლო ნარჩენებისაგან ტერიტორიის დასუფთავება (ნარჩენების გატანა) ტერიტორიის მოსწორება – 2800 ლარი.

სკოლის შენობის დემონტაჟის განხორციელების შედეგად მისაღები მასალების საერთო ღირებულება შეადგენს – 22900 (ოცდაორიათას ცხრაასი) ლარს, მათ შორის

1. სახურავის „პეკაჟები" სავარაუდო ვარგისი რაოდენობით 22 ცალი, თანხით – 3740 ლარი.
2. „სინკარები" სავარაუდო ვარგისი რაოდენობით 86 ცალი, თანხით – 8600 ლარი.
3. ფანჯრის სივრცის ზედა ბლოკები სავარაუდო ვარგისი რაოდენობით 18 ცალი, თანხით – 360 ლარი.

4. აივნის ბლოკები სავარაუდო ვარგისი რაოდენობით 4 ცალი, თანხით – 100 ლარი.
5. თეთრი აგური სავარაუდო რაოდენობით 45000 ცალი, თანხით – 9000 ლარი.
6. რკინის ჯართი სავარაუდო წონით 2800 კილოგრამი, თანხით – 1100 ლარი.

ამრიგად, სკოლის სასადილოს შენობის დემონტაჟის/ლიკვიდაციის განხორციელებით მოსალოდნელი შედეგია შემოსავალი – 5100 (ხუთიათას ასი) ლარი.

შ.პ.ს. „აუდიტ–გ.მ“–ს
დირექტორი–აუდიტორი: გ. მამუკაშვილი.